№ 95 საგრანტო პროექტის შემაჯამებელი ანგარიში

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის განმარტებითი ლექსიკონი

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის განმარტებითი ლექსიკონის შექმნის მიზანი არის ეკლესიის ისტორიის სპეციფიკური ტერმინოლოგიის მოძიება, შესწავლა, ერთად თავმოყრა და მათი სისტემატიზაცია.

ჩვენს მიერ შექმნილ ლექსიკონში თავმოყრილი იქნება ქრისტიანობის დასაწყისიდან დღემდე მოკრებილი ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნიკური მასალები, ისტორიულ პიროვნებათა სახელები, ისტორიულ მოვლენათა თარიღები მცირე განმარტებებითურთ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნების („საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს საეკლესიო კრებები“, „ქალდეა“, „ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია“, „სტრაბონი“) მიხედვით.

აღნიშნული ლექსიკონის შექმნისთვის გათვალისწინებული სამუშაოები დაყოფილი იყო ოთხ ეტაპად:

I ეტაპზე შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:
1. მოხდა ამოცანის ფორმულირება: ჩამოყალიბდა დასახული კვლევის მიზანი და განისაზღვრა ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი ქმედებების კომპლექსი.
2. მოძიებული იქნა ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა: (ლიტერატურის ჩამონათვალი მოცემულია I ეტაპის ანგარიშში).

II ეტაპზე შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები:
1. დამუშავებულია ლიტერატურა, მომზადებულია ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელი საწყისი ბაზა მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნების („საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს საეკლესიო კრებები“, „ქალდეა“, „ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია“, „სტრაბონი“) საძიებლების მიხედვით (პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური).

2. გრანტში გათვალისწინებული შესაბამისი თანხით საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სამუშაოების შესრულებისათვის შეისყიდა: პრინტერი (2 ცალი) და სკანერი.

III ეტაპზე შესრულდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაო: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, „საქართველოს საეკლესიო კრებები“, „ქალდეა“, „ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია“, „სტრაბონი“ წიგნების საძიებლების მიხედვით (პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური) შეიქმნა „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ლექსიკონისათვის მოკლე განმარტებების ელექტრონული ვერსია.

IV ეტაპზე შესრულდა შემდეგი სამუშაო: შეგროვილი ლექსიკოგრაფიული მასალა, ლიტერატურული წყაროების გადამუშავების შედეგები ელექტრონული ბაზის შექმნის შემდეგ, განთავსდა ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკზე).

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის განმარტებითი ლექსიკონი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს დაინტერესებული სპეციალისტების, სტუდენტების, დოქტორანტების და ფართო საზოგადოებისათვის.

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი
მიტროპოლიტი პროფ. ანანია ჯაფარიძე